



## მეორე სამუშაო ჯგუფის გაფართოებული შეხვედრა

თარიღი: 30 ივნისი, 2015 წელი

დრო: 13:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
2. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია, მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
3. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“, მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
4. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
5. თამარ ნასყიდაშვილი - აღმოსავლეთ საქართველოში ACF-ის პროგრამის მენეჯერი
6. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
7. ალუ გამახარია - ასოციაცია „საქმიანი და მშვიდობიანი კავკასია“
8. ვალერი ბასარია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი
9. თენგიზ სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია
10. ლევან დადიანი - დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია ასოციაცია „OXFAM“ – ის საქართველოს წარმომადგენლობა
11. გიორგი ლლონტი - ქვა საერთაშორისო კავკასიაში
12. ლელა ბერძული - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
13. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო
14. თემურ ვეკუა - კავშირი „ეკოტექი“
15. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
16. ლევან ბოჭორიშვილი - მრავალეროვანი საქართველო

17. მარინე სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი „ლეა“
18. თამუნა თორია - საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
19. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია – “ABCO Georgia”
20. ნათია კუპრაშვილი - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
21. ნუგზარ სუარიძე - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
22. გულიკო შოშიტაშვილი - მწვანე ალტერნატივა
23. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა
24. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
25. მარიამ ჯორჯაძე - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
26. ირაკლი ქასრაშვილი - მერსი ქორფსი
27. კატერინა პობერეჟნა - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
28. ბუბა ჯაფარელი - „ადამიანი გაჭირვებაში“
29. ნანა ქაშაკაშვილი - GIPA - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

### განსახილველი საკითხი:

- ❖ ევროკავშირის თანამშრომლობა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (“EU COOPERATION ON AGRICULTURE IN GEORGIA”), მომხსენებელი ხუან ეჩანოვე, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ატაშე

შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს წარუდგინა მოწვეული სტუმარი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ატაშე, ხუან ეჩანოვე.

თავმჯდომარემ ისაუბრა საქართველოს ეკონომიკისთვის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელობის შესახებ. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ამჟამინდელი სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს სოფლის მეურნეობის განვითარებას და მის უფრო კონკურენტუნარიან სექტორად ჩამოყალიბებას.

2014 წლის ივნისში საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA), რომელიც ქართულ პროდუქციას გზას უხსნის იმ 500 მილიონი მომხმარებლისაკენ, რომლებიც ევროპულ ბაზარს წარმოადგენენ.

მოწვეულმა სტუმარმა ისაუბრა საქართველოს ეროვნული პლატფორმის, სამუშაო ჯგუფების არსებობის მნიშვნელობის და მიმდინარე პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის შესახებ. მან დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია თემაზე „ევროკავშირის თანამშრომლობა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“. მან აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სექტორის მოდერნიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში უფრო ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის და ქალაქსა და სოფელს შორის დღეს არსებული უთანასწორობის შესამცირებლად. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ასევე ჯანსაღი ეკონომიკური განვითარებისთვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უარყოფითი ცვლილება თითქმის ყველა სექტორს შეეხო, მათ შორის სოფლის მეურნეობას. ვარდების რევოლუციის შემდეგ შეინიშნებოდა გაუმჯობესება, გარკვეული ძვრები სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა ეს არ შეეხო სოფლის მეურნეობას და გაუარესების ტენდენცია გაგრძელდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 2008 წელი იყო ყველაზე ცუდი მაჩვენებლებით გამორჩეული.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ატაშემ აღნიშნა, რომ ქართველი ფერმერები არიან განათლებულები და მათი უმრავლესობა სულ მცირე საშუალო განათლების მქონეა. მან ასევე ისაუბრა საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ, ბაზრებთან წვდომის და ყველა მეზობელთან ქართული პროდუქციის გატანის შესაძლებლობაზე. მისი თქმით ქართული პროდუქცია სოფლის მეურნეობის დარგში განიხილება, როგორც ბრენდი ( არა მხოლოდ ღვინო და წყალი) და აღიქმება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტად, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ასე ახლო აღმოსავლეთში.

მოწვეულმა სტუმარმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ევროკავშირი საქართველოს მთავრობას ხელს უწყობს და ეხმარება სოფლის მეურნეობის სტრატეგიის (შედგება ექვსი მიმართულებისგან) რამდენიმე მიმართულების განხორციელებაში, თუმცა ეს არ ეხება ყველა მიმართულებას (მაგ: ირიგაცია). მან ასევე ისაუბრა საქართველო ევროკავშირის თანამშრომლობის და ENPARD -ის პროგრამის შესახებ. ევროკავშირის სამეზობლო პარტნიორობა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) ხუთწლიანი პროგრამაა (2013 წლის მარტი – 2018 წლის მარტი), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის გამოცოცხლებას ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ფერმერებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარების პირობებში.

ENPARD-ი ფერმერებთან ურთიერთობას ამყარებს ასევე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით. თექვსმეტი ქართული და საერთაშორისო ორგანიზაცია დაჯგუფდა ოთხ კონსორციუმად, რომლებსაც ხელმძღვანელობენ CARE (ავსტრია), Mercy Corps (შოტლანდია), Oxfam (გაერთიანებული სამეფო) და People in Need (ჩეხეთის რესპუბლიკა). ამ კონსორციუმებმა მიიღეს გრანტები ქვეყნის 45 რაიონში 160 კოოპერატივის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად.

დამსწრეებმა განიხილეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული გამოწვევები, ორსაათიანი განხილვის შემდეგ კი ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.